პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____დეკემბერი_____ 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის
№177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ,

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №165; №247; №250; №253; №257 პუნქტები.

2. ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №267-№270 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის დეკემბრის
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
267	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №11-ის სამხრეთით	174.00	03.05.22.1005	55.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
268	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15-ის მიმდებარედ	24.00	03.05.27.758	55.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
269	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, განჯის ქუჩა, I შესახვევი, №44-ის ჩრდილოეთით	100.0	03.06.21.856	130.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
270	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №85-ის სამხრეთით	267.0	03.05.28.657	55.00 (1 კვ.მ.–ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცება. ასევე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონების, სარგებლობაში და საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში დამატების შემთხვევაში, მათი პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემდგომ, მოხდება დამატებითი შემოსავლების მიღება.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი